




**ეკონომიკური ოპერატორების ვალდებულებები აირად საწვავზე მომუშავე  
მოწყობილობებთან დაკავშირებით:**

N	ეკონომიკური ოპერატორი  ვალდებულებები	მწარმოებელი	იმპორტიორი	დისტრიბუტორი
1.	ბაზარზე განათავსოს მხოლოდ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისი მოწყობილობა ან საამწებრო ნაწილი.			
2.	დარწმუნდეს, რომ განხორციელებულია შესაბამისობის შეფასების სათანადო პროცედურა, შედგენილია ტექნიკური დოკუმენტაცია, დატანილია ყველა საჭირო ინფორმაცია, დართულია პროდუქტის უსაფრთხო მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინსტრუქციები ქართულ ენაზე, ასევე ახლავს ყველა საჭირო დოკუმენტაცია.			
3.	შეადგინოს ტექნიკური დოკუმენტაცია, განახორციელოს შესაბამისობის შეფასების პროცედურა და შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია.			
4.	შეინახოს ტექნიკური დოკუმენტაცია და შესაბამისობის დეკლარაცია მოწყობილობებისა და საამწებრო ნაწილების ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში.			
5.	მწარმოებელი ვალდებულია სერიული წარმოებისას დანერგოს ყველა აუცილებელი პროცედურა, რათა წარმოებული პროდუქტები აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს.			

6.	<p>საჭიროების შემთხვევაში, მოწყობილობებთან რისკებთან მიმართებით, განახორციელოს ბაზარზე ხელმისაწვდომი მოწყობილობების ნიმუშების კვლევა, გამოიძიოს და აუცილებლობის შემთხვევაში აწარმოოს საჩივრების, შეუსაბამო და ამოღებული მოწყობილობების რეესტრი.</p>			
7.	<p>მოწყობილობებსა და საამწყობრო ნაწილებზე დაიტანოს ტიპის, პარტიის, სერიის, მოდელის ნომერი ან ტექნიკური რეგლამენტის III დანართით გათვალისწინებული წარწერები.</p>			
8.	<p>მოწყობილობაზე, ხოლო თუ აღნიშნული შეუძლებელია, მის შეფუთვაზე ან თანხმლებ დოკუმენტაციაში, მიუთითოს საკუთარი დასახელება, რეგისტრირებული სავაჭრო სახელი ან რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი და მისამართი, კონკრეტული ადგილის მითითებით, სადაც შესაძლებელია დაკავშირება.</p>			
9.	<p>მოწყობილობას თან დაურთოს ქართულ ენაზე შედგენილი შესაბამისი ინსტრუქციები და პროდუქტის უსაფრთხო მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.</p>			
10.	<p>საამწყობრო ნაწილებს დაურთოს შესაბამისობის დეკლარაციის ასლი, რომელიც უნდა მოიცავდეს მოწყობილობაზე მორგების, აწყობის, რეგულირების, ფუნქციონირებისა და შეკეთების ინსტრუქციებს, ამ ტექნიკური რეგლამენტის I დანართის პირველი მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად.</p>			

11.	<p>თუ არსებობს ეჭვი, რომ ბაზარზე განთავსებული მოწყობილობა ან საამწყობრო ნაწილი არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის სათანადო მოთხოვნებს, დაუყოვნებლივ მიიღოს საჭირო მაკორექტირებელი ზომები აღნიშნული პროდუქტის შესაბამისობაში მოსაყვანად, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მისი ამოღება ან გამოთხოვა.</p>			
12.	<p>რისკის შემცველი პროდუქტის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს, მიაწოდოს მას ყველა საჭირო ინფორმაცია შეუსაბამობის და მიღებული მაკორექტირებელი ზომების შესახებ.</p>			
13.	<p>ითანამშრომლოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთან და დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, წარუდგინოს მას მოწყობილობის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადასტურებლად საჭირო ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი ფიზიკური ან ელექტრონული ფორმით, ქართულ ან ინგლისურ ენაზე.</p>			
14.	<p>მოწყობილობისა და საამწყობრო ნაწილის მისი პასუხისმგებლობის ქვეშ ყოფნის პერიოდში, უზრუნველყოს შენახვისა და ტრანსპორტირების ისეთი პირობები, რომლებიც არ ხელყოფს შესაბამისობას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებთან.</p>			

15.	ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს, მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს დამატებითი ინფორმაცია პროდუქტის ბაზარზე განთავსების თარიღის, ასევე გაყიდული და ბაზარზე განთავსებული პროდუქტის რაოდენობის შესახებ.			
-----	--	---	--	---